



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union For Georgia



ევროკავშირი განაგრძობს საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმის მხარდაჭერას საჯარო სამსახურების დამშოილების ახალი პროექტის ფარგლებში

დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ლიეტუვასა და საქართველოს შორის დამშოილების პროექტის განხორციელება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში საჯარო სამსახურის ევროკავშირის სტანდარტებთან და პრაქტიკასთან დაახლოვებას

თბილისი, 19 თებერვალი, 2019 წ. „საჯარო სამსახურის ბიუროს შესაძლებლობების გაძლიერება საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელებლად“ პროექტის გახსნით ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოსა და ლიეტუვას მთავრობის, საქართველოს საჯარო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. ღონისძიების მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ, ასევე საქართველოში საჯარო სამსახურის მიმდინარე რეფორმის მიღწევების თაობაზე.

აღნიშნული ოფიციალური გახსნითი ღონისძიებით დაიწყო ევროკავშირის დამშოილების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის განხორციელება (1.200,000 ევრო, დაახლოებით 3.652,000 ლარი). პროექტის ხანგრძლივობაა 21 თვე. ამ დროის განმავლობაში ლიეტუველი საჯარო მოხელეები საკუთარ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას გაუზიარებენ საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლებს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში საჯარო სექტორში მიმდინარე რეფორმის კიდევ უფრო წარმატებით განხორციელებას.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ბ-ნი **კახა კახიშვილი**, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე ბ-ნი **კარლო ნატალე**, ლიეტუვას რესპუბლიკის მთავრობის კანცლერი ბ-ნი **ალგირდას სტონჩაიტისი**, საქართველოში ლიეტუვას რესპუბლიკის ელჩი ბ-ნი **გიედრიუს პოაჟუნასი** და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი **არჩილ ყარაულაშვილი**.

„2015 წლიდან საქართველო მნიშვნელოვან რეფორმებს ახორციელებს საჯარო სამსახურის სფეროში. მიღებული კანონმდებლობა განსაზღვრავს სტაბილური, ერთიანი, ნეიტრალური, ანგარიშვალდებული და პროფესიული უნარებით აღჭურვილი საჯარო სამსახურის საქმიანობის სტანდარტებს. ეს მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოს მოქალაქეთათვის სავიზო რეჟიმის გამარტივების თვალსაზრისით. საჯარო სამსახურის სფეროს რეფორმის მიზნის მისაღწევად აუცილებელია განხორციელების ეტაპზე უკვე მიღებული შედეგების განმტკიცება. ევროკავშირი მზად არის გააგრძელოს საქართველოსთან თანამშრომლობა ამ მიმართულებით“, - განაცხადა, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბ-მა **კარლო ნატალემ**.

The project “Capacity Building of the Civil Service Bureau of Georgia to Implement the Civil Service Reform” is funded by the European Union Twinning programme



„ამ პროექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროსთვის. ჩვენი აზრით, იგი არა მხოლოდ საჯარო სამსახურის მიმდინარე რეფორმის სწორი მიმართულებით განხორციელებას შეუწყობს ხელს და გააძლიერებს საჯარო სამსახურის ბიუროს შესაძლებლობებს, არამედ გააღრმავებს ორ ქვეყანას - ლიეტუვასა და საქართველოს - შორის თანამშრომლობასა და მეგობრულ ურთიერთობებს“, - განაცხადა საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსმა ქალბატონმა **ეკატერინე ქარდავამ**.

„მრავალი წლის მანძილზე ლიეტუვა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საქართველოსთან ურთიერთობებს და არ ვაპირებთ ჩვენი პოლიტიკის შეცვლას. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას 25 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მის მტკიცე არჩევანს მიბაძვით ევროკავშირის მაგალითს, შექმნას ღია, დემოკრატიული, სამართლებრივი და წარმატებული სახელმწიფო. მჯერა, რომ საჯარო სამსახურების დამშობილების პროექტი ჩვენი სახელმწიფოების, საჯარო სამსახურებისა და რაც მთავარია, ჩვენი ხალხის დამაკავშირებელი კიდევ ერთი ხიდი გახდება“, - განაცხადა ლიეტუვას რესპუბლიკის მთავრობის ვიცე-კანცლერმა ბატონმა **ალმინას მაჩულიუსმა**.

პროექტის შესახებ:

საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროსთვის, როგორც საჯარო სამსახურის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელების კოორდინაციაზე უფლებამოსილი ორგანოსთვის, სათანადო შესაძლებლობების ქონა უკიდურესად მნიშვნელოვანია, რათა ეფექტიანად უხელმძღვანელოს მიმდინარე რეფორმას საქართველოს მოქალაქეების საკეთილდღეოდ. საჯარო სამსახურების დამშობილების პროექტი ხელს შეუწყობს საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერებას, არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწას და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოვებას, სასწავლო სქემების შემუშავებას და დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებას. პროექტი, რომელიც ხუთი ძირითადი კომპონენტისგან შედგება, მთელი რიგი ღონისძიებების საშუალებით უზრუნველყოფს ბიუროსთვის მაღალი ხარისხის დახმარების გაწევას, ცოდნის გადაცემას და ხელს შეუწყობს პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ლიეტუვასა და საქართველოს საჯარო მოხელეებს შორის. ლიეტუვას რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციის, საჯარო სამსახურის დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტები საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლებს გაუზიარებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, ცოდნასა და მათ მიერ მიღებულ გაკვეთილებს ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სტანდარტებთან მიახლოების გზაზე.

პროექტის საბოლოო მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებას და აღებული ვალდებულებების შესრულებას, რადგან საჯარო სამსახური ამ პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეფექტიანი და ქმედითი საჯარო მმართველობა ხელს უწყობს და აძლიერებს დემოკრატიულ მმართველობას. გამჭირვალე, ანგარიშვალდებული და პროფესიული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი საჯარო სამსახური უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

საჯარო სამსახურების დამმობილების პროგრამის შესახებ:

საჯარო სამსახურების დამმობილების პროგრამა არის ევროკავშირის ინიციატივა, რომლის საშუალებით ევროკავშირის წევრი ქვეყნები და ბენეფიციარი ქვეყნები საჯარო სექტორში არსებულ გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით. დამმობილების პროექტებმა ბენეფიციარ ქვეყნებს კონკრეტული შედეგები უნდა მოუტანოს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების პირობების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ.: www.eeas.europa.eu/delegations/georgia

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:

მუდმივი უცხოელი მრჩეველის ოფისი საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროში
ქ-ნი რედა რეკასიენე, მუდმივი უცხოელი მრჩეველი
ელ.ფოსტა: Reda.Rekasiene@vtd.lt

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
სოფი ჰუე გერიჩი, ატაშე, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის მმართველობის სექტორის კოორდინატორი
პროგრამის კოორდინატორი – საჯარო მმართველობის რეფორმა, სიგმა, ანტიკორუფციული პროგრამა
ელ.ფოსტა: Sophie.HUET-GUERRICHE@eeas.europa.eu